# სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 2016 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში (2016 წელი) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ, კომპეტენციის და უფლებამოსილების ფარგლებში, 132 საშტატო ერთეულის რესურსით, გაატარა შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

1. ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე, 112-ის მეშვეობით და წერილობითი განცხადებების საფუძველზე სააგენტოში შემოვიდა **26 115** შეტყობინება, რომლებზეც უწყვეტ 24-საათიან რეჟიმში სააგენტოს სპეციალური მობილური ჯგუფების მიერ ჩატარდა **17 774** შესაბამისი რეაგირების ღონისძიება. შედეგად, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისა და ცხოველების პოპულაციების მართვის მიზნებში, ურბანულ გარემოში დაჭერილი და მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილია **7 861** ცხოველი და **426** ქვეწარმავალი. შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად, ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ქირურგიული ოპერაცია (სტერილიზაცია/კასტრაცია), იდენტიფიკაცია (საჭდით ან ყურის კუპირებით) და ანტირაბიული ვაქცინაცია ჩაუტრადა **4 002** ცხოველს;




2. შესაბამისი მომსახურება გაეწია ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში სხვადასხვა მიზნით მისულ **1 752** ვიზიტორს;






3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულო) 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის“ შესრულების პროცესის მონიტორინგის ფარგლებში, მოსახლეობისა და ცხოველების უსაფრთხოების ნორმების დაცვის, ძაღლების გამოსეირნების წესებისა და დედაქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგება-გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოს მიერ სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლების მიერ დედაქალაქის სკვერებში, პარკებში და ქუჩებში მიმდინარე საპატრულო ღონისძიებების შედეგად, გამოვლინდა **683** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. შესაბამისად, შედგენილია **683** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი - საჯარიმო ქვითარი (ასკ-ის 103-ე მუხლის I, II და III ნაწილით). გამოწერილი ჯარიმების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების საერთო ოდენობამ შეადგინა **5 673** ლარი;






4. საკრებულოს 2016 წლის 13 სექტემბრის №№ 24-64, 24-65, 24-66 და 24-67 დადგენილებების საფუძველზე, სააგენტოს დამატებით დაეკისრა პირუტყვის ყოლის წესების კონტროლის და შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით) რეაგირების ახალი ამოცანები, რომელთა ეფექტურად განხორციელების მიზნით, სააგენტოს მიერ დაიგეგმა და გატარდა კომპლექსური ღონისძიებები, მათ შორის: შესწავლილის ის ტერიტორიები, საიდანაც შესაძლებელია მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გამოსვლა-გამოყვანა აკრძალულ ტერიტორიებზე; მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა და სისტემატურად რიგდება შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები, ინფორმაცია აქტიურად ვრცელდება მედია-საშუალების (ტელევიზია, პრესა, სოციალური ქსელები) გამოყენებით; დამზადდა და ქალაქის სხვადასხვა ადგილებში დამონტაჟდა შესაბამისი საინფორმაციო ბანერები. აღნიშნული მიმართულებით 2016 წლის ნოემბრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად, დაფიქსირდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოხსენებული მუხლებით გათვალისწინებული **76** ფაქტი, შედგენილია იგივე რაოდენობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო გამოწერილი ჯარიმების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების საერთო ოდენობამ შეადგინა **1 634** ლარი;



5. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დაცვის ქმედითი მონიტორინგის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, 15 დეკემბერს გაფორმდა მონაცემთა მიწოდების შესახებ ხელშეკრულება, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შორის, რომლის ფარგლებშიც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი წესის დარღვევის ფაქტზე დაფიქსირებული

იდენტიფიცირებული (ნიშანდებული) პირუტყვის და მისი პატრონის/პასუხისმგებელი პირის შესახებ. შედეგად, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცესში შესაძლებელი გახდა პირუტყვის პატრონების შესახებ ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიღება-რეალიზაცია;

6. 2016 წლის ნოემბრიდან, სააგენტომ დაიწყო და წარმატებით ახორციელებს კამპანიას „ერთად ვიზრუნოთ დედაქალაქზე და შევქმნათ უსაფრთხო გარემო", რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესაბას, ასევე ადამიანებისა და ცხოველების თანაარსებობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. კამპანიის ფარგლებში, თბილისის ქუჩებში, სკვერებში, პარკებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში აქტიურად მონტაჟდება სპეციალური საინფორმაციო ბანერები. მიმდინარე ეტაპისთვის 12 საინფორმაციო დაფა და 50 ნიშნული განთავსდა ვაკის პარკის, ვერის ბაღის, კუს ტბის, წითელი ბაღის, აღმაშენებლის და წერეთლის გამზირების, გორკის ქუჩაზე მდებარე სკვერის, მეტროსადგურების რუსთაველისა და თვისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე. სამუშაოები გეგმაზომიერად გრძელდება მუნიციპალიტეტის სხვა უბნებში;





7. საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის ფარგლებში, მოსახლეობაში ცხოველების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების დანერგვის, მოვლა-პატრონობის წესების დაცვის აუცილებლობისა და ცხოველებისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, სააგენტოს სპეციალურად მომზადებული თანამშრომლების მიერ ქალაქის სხვადასხვა საჯარო სკოლებში ჩატარდა **36** საინფორმაციო გაკვეთილი. კერძოდ: №№ 4, 8 (დირექტორის თხოვნით ჩატარდა 2-ჯერ, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან), 9 (დირექტორის თხოვნით ჩატარდა 3-ჯერ, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან), 10 (დირექტორის თხოვნით ჩატარდა 2-ჯერ, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან), 21, 24, 29, 50 (დირექტორის თხოვნით ჩატარდა 3-ჯერ, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან), 60, 63, 67, 72, 75, 84, 86, 88, 90, 92, 113, 114, 115, 118, 120, 122, 126, 129

(დირექტორის თხოვნით ჩატარდა 3-ჯერ, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან), 151 და 192 საჯარო სკოლებში;





8. ცხოველთა მოვლა-პატრონობის ჰუმანური წესების პოპულარიზაციის, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესახებ მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირების უზრუნველსაყოფად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სოციალური ქსელების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა ფორმების გამოყენებით ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები:

- აქცია - **26**;
- ტელე-რადიო გადაცემა - **59**;
- პუბლიკაცია პრესასა და სოციალურ ქსელებში - **570**;

9. მიუსაფარ ცხოველთა გაჩუქების აქციების ფარგლებში, რესპუბლიკის მოედანზე, მუშტაიდის ბაღში, ზოოპარკის ტერიტორიაზე და მიხეილ ჯავახიშვილის სკვერში (ე.წ. „ბუკიას სკვერი“) ორგანიზებულ **24** აქციაზე გაჩუქდა **138** ცხოველი, რომლებსაც მუნიციპალურ თავშესაფარში წინასწარ ჩაუტარდათ ლაბორატორიული კვლევა, ანტირაბიული ვაქცინაცია, სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაცია და იდენტიფიკაცია საჭდით. ღონისძიებები სისტემატურად პოზიტიურად შუქდებოდა მედიის საშუალებებით;





10. ტემპერატურის მატების პარალელურად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეწარმავლებისგან მომდინარე საფრთხეების პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მთავრობასთან და მერიის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან შეთანხმებით, ივნისი-ივლისის პერიოდში სააგენტომ უზრუნველყო **36** ცალკეული ობიექტის და ტერიტორიის რეპელენტით შეწამვლა. დამუშავებული ტერიტორიების საერთო ფართობმა შეადგინა **350 000 მ²**, ხოლო შესყიდული მომსახურების ღირებულებამ - **15 995** ლარი. გარდა ამისა, 13 ივლისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან ჩატარებულ ოპერატიულ თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე (თათბირის № 26 ოქმი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეწარმავლებისგან მომდინარე საფრთხეების პრევენციის მიზნით, სააგენტოს დამატებით დაევალა საბავშვო ბაგა-ბაღების ტერიტორიების რეპელენტით დამუშავების ღონისძიებების უზრუნველყოფა. გამოცხადებული ტენდერის შედეგად შესყიდული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა **17 908** ლარი, ხელშეკრულების ფარგლებში და სააგენტოს მხრიდან გატარებული კონტროლის პირობებში, რეპელენტით დამატებით დამუშავდა **440 000 მ²** ტერიტორია (82 ბაგა-ბაღი). ჯამში, რეპელენტით დამუშავებული ტერიტორიის საერთო ფართობმა შეადგინა **790 000 მ²**, ხოლო შესყიდული მომსახურების ღირებულებამ - **33 903** ლარი;





11. 14-17 ივლისს ქ.თბილისში გამართული 2016 წლის ევროპის მძლეოსნობის ახალგაზრდული ჩემპიონატის მსვლელობისას, ცხოველებისგან (მათ შორის ქვეწარმავლებისგან) მომდინარე საფრთხეების პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალებით 10 ივლისიდან ღონისძიებების დასრულებამდე სააგენტომ უზრუნველყო ერთი რეაგირების ეკიპაჟის 24-საათიანი მორიგეობა ძირითადი ღონისძიებების ჩატარების ტერიტორიაზე (მძლეოსნობის არენა და მოსათელი დარბაზი). ამავე მიზნით, რეპელენტით დამუშავდა **300 000 მ²** ტერიტორიები - ოლიმპიურ სოფელში (ვარკეთილი), მძლეოსნობის სასახლე (ა.წერეთლის გამზ.), მძლეოსნობის არენა და მოსათელი დარბაზი

(დიღმის ჭალები), ასევე დამატებით - **84** ბაგა-ბაღი, ხოლო შესყიდული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა **13 500** ლარი;




12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 6 იანვრის, 11 თებერვლის, 16 ივნისის და 21 სექტემბრის განკარგულებების (შესაბამისად, №№ 01.20.20, 07.01.134, 24.01.502, 37.02.795) საფუძველზე, ცოფის შემთხვევების ლოკალიზების და პრევენციის მიზნით, დადგენილ საკარანტინო ზონებში (შესაბამისად, სოფელი დიღომი, ევროპის მოედანი, კრწანისის რაიონი, გლდანის რაიონი, სამგორის რაიონი), სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთობლივად ჩატარდა უპატრონო ცხოველების მასობრივი აცრები. სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სრულად იქნა ლიკვიდირებული ცოფის - მოსახლეობისთვის განსაკუთრებით საშიში (ლეტალური შედეგის) დაავადების გავრცელების წინაპირობები და საშიშროება. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, ჯამში დაჭერილი და აცრილია **901** ცხოველი (მიკედლებული და უმეთვალყურეო/უპატრონო ძაღლები);



13. „სანიტარულ-ვეტერინარული კორდონის კონცეფციის“ მოთხოვნათა რეალიზების მიზნით, შემუშავებული ღონისძიებათა გეგმის საფუძველზე, მიმდინარეობდა ძაღლების დაჭერის პროცესი თბილისის გარეუბნებში (ქალაქის პერიმეტრზე), შემდგომში მათი კლინიკური კვლევის, ჯანმრთელი და არააგრესიული ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის, იდენტიფიკაცია-აღრიცხვის და ბინადრობის პირვანდელ არეალში დაბრუნების მიზნით. ღონისძიებების ფარგლებში დაჭერილია **588** ძაღლი, რომელთაგან **332**-ს ჩაუტარდა ზემოხსენებული პროცედურები და დაბრუნდნენ ურბანული გარემოს შესაბამის ტერიტორიებზე;





14. გეგმიურად მიმდინარეობდა მუნიციპალური თავშესაფრიდან ურბანულ გარემოში დაბრუნებული ძაღლების (გასტერილებული, ვაქცინირებული, იდენტიფიცირებული) რევაქცინაციის ღონისძიებები, რომელთა ფარგლებში დაჭერილი და აცრილია **517** ცხოველი (მიკედლებული და უმეთვალყურეო/უპატრონო ძაღლები);



15. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების გასეირნებისათვის სპეციალური ადგილების შერჩევის და შემდგომში მათი სათანადო მოწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 13 აპრილის № 14.24.338 განკარგულებით შეიქმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მერიის შესაბამისი სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის გამგეობების წარმომადგენლებთან ერთად, საანგარიშო პერიოდში დასრულდა ტერიტორიების შერჩევის პროცესი, რომლის შედეგად წინასწარ შემუშავებული პარამეტრების საფუძველზე შეირჩა 18 ადგილი (ვაკის რაიონში - ვაკის პარკში, მზიურის პარკში, ვაჟა ფშაველას გამზირზე და კუს ტბის მიმდებარედ, ისნის რაიონში - ვაზისუბანში, სამგორის რაიონში - ვარკეთილი-3-ში და მოსკოვის გამზირზე, ჩუღურეთის რაიონში - მ.მამარდაშვილის ქუჩაზე, გლდანის რაიონში - გლდანის მე-V მკრ-ნში, საბურთალოს რაიონში - ა.ყაზბეგის გამზირზე, ლ.გოთუას ქუჩაზე და დიდ დიღმის I მკრ-ნში, ნაძალადევის რაიონში - „კიკვიძის“ პარკში, დიდუბის რაიონში - დიღმის მასივში, მთაწმინდის რაიონში - „დედაენის პარკში“, „ალექსანდროვის ბაღში“ და „ვერის ბაღში“, კრწანისის რაიონში - 300 არაგველის პარკში). მიმდინარე ეტაპზე, სრულდება შესაბამისი სანებართვო-ტექნიკური სამუშაოები და 2017 წლის დასაწყისიდან პროექტი გადავა რეალიზაციის სტადიაზე;




16. სააგენტომ გააქტიურა მუშაობა „მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი საბჭოს“ ეგიდით, რომელიც 2015 წლის 12 მაისს შეიქმნა სააგენტოს ინიციატივით და მიზნად ისახავს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარ ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის და პრობლემური საკითხების გადაწყვეტის პროცესში საზოგადოების აქტიური წარმომადგენლების (ცხოველთა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, ცხოველთა მიმკედლებლები, ცალკეული დაინტერესებული პირები) ჩართულობის, ასევე სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. საბჭოს წევრთა უმრავლესობის და საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტომ შეიმუშავა და საბჭოს მიერ დამტკიცდა „საბჭოს“ ახალი დებულება, რომელიც, ბევრ სხვა სიახლეებთან ერთად, ქმნის საზოგადოების

მხრიდან ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის სრული და შეუფერხებელი მონიტორინგის განხორციელების ქმედით შესაძლებლობებს. საბჭოს საქმიანობის ცვლილებებმა პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა სფეროთი დაინტერესებულ პირებს შორის და განაპირობა საბჭოს შემადგენლობის გაფართოვების ტენდენცია. ამჟამად საბჭო შედგება **14** წევრისგან. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საბჭოს ოთხი სხდომა, საბჭოს წევრების მიერ **9**-ჯერ განხორციელდა ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის მონიტორინგი;





17. საერთაშორისო და უცხოურ ცხოველთა დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების, სააგენტოს წინაშე მდგარი ამოცანების, არსებული პრობლემების გადაჭრაში მათი დახმარების და ხელშეწყობის მიღების ფარგლებში, 13-19 მარტს, ასევე 15 და 21-22 ოქტომბერს სააგენტოს სტუმრობდა ცხოველთა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის „Mayhew International"-ის აღმასრულებელი დირექტორი ქეროლინ იეტსი, ორგანიზაციის მთავარ ვეტერინარ ურსულა გოეტსთან და ვეტერინართა 4-კაციან ჯგუფთან ერთად. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული ტრეინინგები, ცხოველთა სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციებისა და ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზაციის მიმართულებით, სააგენტოს საჩუქრად გადაეცა თანამედროვე ძვირადღირებული ვეტერინარული საოპერაციო მაგიდა. სააგენტომ დაიმსახურა უცხოელი პარტნიორების მაღალი შეფასებები, მათ მიერ დაფიქსირდა მნიშვნელოვანი და აშკარა პროგრესი, რის შესახებაც მოახდინეს მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი ინფორმირება;





18. დედაქალაქის მოსახლეობისათვის ცხოველების ტრანსპორტირების და იდენტიფიკაციის ფასიანი მომსახურების გაწევის ღონისძიებების, ასევე ქვეწარმავლების დამჭერი მობილური ჯგუფების უზრუნველსაყოფად, მაისში სააგენტოს მიერ შეძენილია ორი ერთეული ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა **66 500** ლარი. გარდა ამისა, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენის და აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგის ეფექტურად განხორცილების, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვისა და მობილური საპატრულო ჯგუფების ოპერატიულად გადაადგილების მიზნით, ნოემბერში სააგენტომ შეიძინა სამი სკუტერი (მოპედი, შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა **4 800** ლარი.), რომლებიც ხელს უწყობენ სააგენტოს თანამშრომელთა მარტივ, სწრაფ და მოხერხებულ გადაადგილებას ქალაქის გადატვირთულ ქუჩებში, კორპუსების ეზოებსა და პარკებში;

19. დედაქალაქის მოსახლეობისათვის ცხოველების ტრანსპორტირების და იდენტიფიკაციის ფასიანი სერვისების (სოციალურად დაუცველი ფენისთვის გაწეული მომსახურების გარდა, რომელიც ხორციელდება უსასყიდლოდ) მიწოდების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ცხოველთა იდენტიფიკაციის და ტრანსპორტირების **585** ღონისძიება, გაწეული მომსახურეობის შედეგად შემოსულმა თანხამ შეადგინა **7 625** ლარი;

20. საკუთარი კომპეტენციის და უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგების, ასევე სააგენტოში შემოსული შეტყობინებების ანალიზის საფუძველზე საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ დადგენილი ფასიანი მომსახურების სახეობებთან (ცხოველების იდენტიფიკაცია და ტრანსპორტირება) ერთად, თბილისის მაცხოვრებლებს, მათ შორის ცხოველთა პატრონებს დამატებით სურთ ისეთი სახის კვალიფიციური მომსახურების მიღება, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფენ კერძო სექტორის მეშვეობით, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე. ზემოხსენებულ მოთხოვნად სერვისებს შორის აღსანიშნავია:

- საკუთარ (ფიზიკური ან/და იურიდიული პირის) ტერიტორიაზე შეღწეული უმეთვალყურეო ცხოველების (ძაღლი, კატა, მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვი) დაჭერა, ამ ტერიტორიიდან მათი შემდგომი გაყვანის მიზნით იმ შემთხვევებში, თუ არ იკვეთება კანონმდებლობით დადგენილი ცხოველების სავალდებულო დაჭერის საფუძვლები და;
- ქვეწარმავლებისგან მომდინარე საფრთხეების პრევენციის ან/და აღკვეთის მიზნით, საკუთარი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირის) ტერიტორიის რეპელენტით (ქვეწარმავლების სპეციალური დამაფრთხობლებით) ტერიტორიის დამუშავება.

შესაბამისად, თბილისის მოსახლეობისთვის დამატებით ხარისხიანი მომსახურების შეთავაზების და სააგენტოს საკუთარი შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის

წესის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის № 33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც უახლოეს მომავალში დადგენილი წესით განსახილველად წარედგინება საკრებულოს;

21. ზემოხსენებული ცვლილების პროექტის პარალელურად, სხვადასხვა პროცედურული და ტექნიკური ხასიათის საკითხების დარეგულირების მიზნით, სააგენტომ ასევე შეიმუშავა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,

რომლებიც უახლოეს მომავალში დადგენილი წესით განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად წარედგინება საკრებულოს;

22. ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ამჟამინდელი შიდა ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (მიმდებარედ) თანამედროვე სტანდარტის საკარანტინო სივრცის (24 ვოლიერზე და შესაბამის საპროცედურო ოთახებზე გათვლილი) აშენების, თავშესაფარში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების, ცხოველებს შორის გადამდებ სნეულებათა გავრცელების პრევენციის, მოქმედი უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნათა განუხრელი დაცვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის საფუძველზე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია - შპს „გლობალ სერვის +“ (სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა **181 000** ლარი). მშენებლობის პროცესი დაიწყო 20 სექტემბერს და იმყოფება დასრულების სტადიაზე, ხოლო თავშესაფარში ძაღლების გამოსასეირნებელი ტერიტორიის, მოქალაქეთა მისაღების მშენებლობა და ცხოველთა საჩრდილობელის მოწყობა დაგეგმილია 2017 წელს;









23. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტანდარტული ვეტერინარული ზომების სრულფასოვნად გატარების მიზნით, საკუთარი ძალებით შეიქმნა და საოპერაციო ბლოკში დამონტაჟდა ცხოველების ოპერაციისშემდგომი რეაბილიტაციის უზრუნველყოფის, ავტონომიური ვენტილაციითა და განათებით აღჭურვილი 4-ვოლიერიანი ბლოკი და ცხოველების წინასაოპერაციო მოსამზადებელი უნივერსალური მაგიდა. აღსანიშნავია, რომ ორივე დანადგარმა, ასევე საოპერაციო ბლოკის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებულმა სამუშაოებმა ცხოველთა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის „Mayhew International"-ის აღმასრულებელი დირექტორის ქეროლინ იეტსის და სააგენტოსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს დადებითი შეფასებები დაიმსახურა;



24. თავშესაფარში ვეტერინარული საქმიანობის სრულყოფისათვის, შეძენილია ულტრასონოგრაფიული კვლევის (ექოსკოპიის) აპარატი, რომლის შესყიდვის ღირებულება შეადგინა **4 799** ლარი;



25. პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესების, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, კეთილმოეწყო საოპერაციო ბლოკის ე.წ. „მოსამზადებელი სივრცე“ - შეკეთდა და შეიღება ჭერი და კედლები, დამონტაჟდა ახალი, ეფექტური გამანათებელი მოწყობილობები, დაიდგა სპეციალური სამედიცინო (სენსორული) ხელსაბანი და ახალი წყალგამაცხელებელი, გამათბობლები;

26. შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა თავშესაფრის საკანალიზაციო სისტემას, რომელიც საპროექტო შეცდომების და მნიშვნელოვანი დაზიანებების შედეგად, მთელი თავშესაფრის, მათ შორის საოპერაციო ბლოკის გამართულ ფუნქციონირებას უქმნიდა საფრთხეს;

27. თავშესაფრის ელექტროენერგიით გამართული მომარაგების უზრუნველსაყოფად, გამოიცვალა ელექტრო სადენები, დამონტაჟდა ცენტრალური გამანაწილებელი ფარი, გაუმჯობესდა ცენტრალური ჭიშკრისა და ავტოსამრეცხაოს ელექტროდანადგარების მუშაობა;

28. ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგების უზრუნველსაყოფად, ცხოველთა თავშესაფარში დამონტაჟდა მეორე ელექტროგენერატორი. შედეგად, შესაძლებელი გახდა ავტონომიურ რეჟიმში თავშესაფრის ყველა მომხმარებლის (ვოლიერების განათება-ვენტილაცია, მედიკამენტების საჭირო ტემპერატურულ რეჟიმში შენახვა, საოპერაციო ბლოკის ფუნქციონირება და სხვა) უწყვეტი მომარაგება;

29. საანგარიშო პერიოდში სააგენტოში შემოვიდა **762** წერილი, მათ შორის **478** მოქალაქეებისგან. განხორციელდა რეაგირება ყველა იმ პრობლემაზე, რომლებიც აწუხებდა მოსახლეობას და ითხოვდნენ დახმარებას. მომზადდა და როგორც მოქალაქეებს, ასევე ხელისუფლების ორგანოებს, სხვა ორგანიზაციებს გაეგზავნა **419** წერილი;

30. საანგარიშო პერიოდში სააგენტომ გამოაცხადა **1** ელექტრონული და **27** გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა **200** ხელშეკრულება სხვადასხვა საქონელის და მომსახურეობის შესყიდვაზე;

31. სააგენტოს 2016 წლის ბიუჯეტის გეგმით დამტკიცებული პარამეტრები საანგარიშო პერიოდში შესრულდება **99.9 %-ით.** კერძოდ, საკასო ხარჯმა შეადგინა **3 696 300** ლარი, დამტკიცებული გეგმის **3 700 000** ლარიდან;

32. გარდა ზემოხსენებულისა, საანგარიშო პერიოდში გატარებული სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობა გამოიხატება თანდართულ სტატისტიკურ მონაცემებში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს მიერ სწორად დაგეგმილი და ეფექტურად გატარებული ღონისძიებების შედეგად, საანგარიშო პერიოდში:

– დედაქალაქში გეგმაზომიერად მცირდება მიუსაფარი (უპატრონო) ცხოველების (ძაღლი, კატა) რიცხოვნობა;

– არ დაფიქსირდა განსაკუთრებით საშიში ზოონოზური დაავადებების გავრცელების და ადამიანის ინფიცირების ფაქტები;

– მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პარალელურად, ეტაპობრივად მკვიდრდება ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დაცვის და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგების ტრადიცია;

– ცხოველებისგან მომდინარე საფრთხეებით შეწუხებული დედაქალაქის მოსახლეობა კმაყოფილებას გამოხატავს გაწეული დახმარებისათვის და სფეროს საბოლოო დარეგულირების მყარი ტენდენციის შენარჩუნებისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებული მწირი რესურსების მიუხედავად, ახლადშექმნილი სააგენტო სწორი მიმართულებით ვითარდება და თავს ართმევს დაკისრებული ამოცანების შესრულებას, რაც საბოლოოდ გამოიხატება მოსახლეობის უსაფრთხოების დაცულობის მუდმივი ზრდის დინამიკაში და ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის შედეგიანად მიმდინარე პროგრამაში.

**სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო**
**2016 წ. 31 დეკემბერი**

# ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შედეგები:

| № | პერიოდი | შემოსული შეტყობინება | | | გატარებული რეაგირების ღონისძიება | | შეყვანილია თავშესაფარში | | | | ქირურგიული ოპერაცია | | | გაყვანილია თავშესაფრიდან | | | ევთანაზია | ჩატარდა სამაშველო ოპერაცია | ცხოველების რეგისტრაცია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 112-ზე | | წერილობით | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | ცხოველები | ქვეწარმავლები | | ცხოველები | ქვეწარმავლები | ძაღლი | კატა | ქვეწარმავალი | სხვა | სტერილიზაცია | კასტრაცია | სხვა | გაჩუქდა | მიეკედლა | დაბრუნდა ბინადრობის არეალში | | | სააგენტოს მიერ | სხვა დაწესებულების მიერ |
| 1 | იანვარი | 1349 | 8 | 31 | 1026 | 1 | 378 | 50 | 0 | 0 | 30 | 21 | 3 | 42 | 22 | 15 | 85 | 14 | 21 | 205 |
| 2 | თებერვალი | 1525 | 1 | 39 | 1235 | 1 | 399 | 43 | 0 | 1 | 24 | 29 | 7 | 47 | 48 | 20 | 189 | 6 | 36 | 232 |
| 3 | მარტი | 1654 | 4 | 100 | 1234 | 4 | 528 | 81 | 4 | 1 | 98 | 61 | 6 | 54 | 65 | 67 | 174 | 9 | 120 | 351 |
| 4 | აპრილი | 1797 | 36 | 79 | 1306 | 40 | 656 | 161 | 16 | 0 | 128 | 125 | 4 | 58 | 46 | 155 | 215 | 14 | 124 | 382 |
| 5 | მაისი | 2550 | 198 | 48 | 1679 | 219 | 811 | 200 | 100 | 0 | 185 | 189 | 0 | 67 | 52 | 391 | 150 | 39 | 99 | 227 |
| 6 | ივნისი | 3097 | 270 | 73 | 1877 | 346 | 816 | 288 | 118 | 0 | 226 | 232 | 1 | 101 | 63 | 443 | 170 | 45 | 84 | 217 |
| 7 | ივლისი | 3105 | 159 | 86 | 1870 | 261 | 647 | 265 | 80 | 1 | 266 | 293 | 0 | 63 | 65 | 536 | 126 | 33 | 75 | 273 |
| 8 | აგვისტო | 2433 | 90 | 58 | 1563 | 155 | 577 | 122 | 46 | 0 | 205 | 260 | 0 | 37 | 41 | 305 | 156 | 21 | 59 | 152 |
| 9 | სექტემბერი | 2149 | 77 | 57 | 1338 | 143 | 426 | 111 | 37 | 0 | 166 | 283 | 0 | 74 | 48 | 248 | 85 | 21 | 45 | 86 |
| 10 | ოქტომბერი | 1803 | 36 | 57 | 1219 | 94 | 366 | 94 | 20 | 1 | 210 | 178 | 0 | 43 | 36 | 196 | 87 | 22 | 24 | 40 |
| 11 | ნოემბერი | 1553 | 8 | 89 | 1124 | 7 | 385 | 70 | 5 | 2 | 189 | 256 | 0 | 50 | 56 | 289 | 66 | 16 | 34 | 45 |
| 12 | დეკემბერი | 1423 | 3 | 70 | 1030 | 2 | 343 | 38 | 0 | 0 | 171 | 156 | 0 | 42 | 31 | 258 | 47 | 16 | 17 | 37 |
| ჯამი: | | 24438 | 890 | 787 | 16501 | 1273 | 6332 | 1523 | 426 | 6 | 1898 | 2083 | 21 | 678 | 573 | 2923 | 1550 | 256 | 729 | 2247 |
| ნაერთი ჯამი: | | 26115 | | | 17774 | | 8287 | | | | 4002 | | | 4174 | | | | | 2985 | |

## გაწეული ფასიანი მომსახურების სტატისტიკა

| თვე | იდენტიფიკაცია | ტრანსპორტირება | ჯამი (რაოდენობა) | ჯამი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| თებერვალი | 15 | 1 | **16** | **284** |
| მარტი | 99 | 5 | **104** | **1364** |
| აპრილი | 84 | 4 | **88** | **1107** |
| მაისი | 45 | 5 | **50** | **617** |
| ივნისი | 60 | 4 | **64** | **738** |
| ივლისი | 59 | 4 | **63** | **845** |
| აგვისტო | 48 | 2 | **50** | **691** |
| სექტემბერი | 39 | 6 | **45** | **646** |
| ოქტომბერი | 23 | 1 | **24** | **300** |
| ნოემბერი | 32 | 9 | **41** | **429** |
| დეკემბერი | 34 | 6 | **40** | **158** |
| ჯამი | **538** | **47** | **585** | **7625** |

## გამოვლენილ სამართალდარღვევათა სტატისტიკა

| თვე | 103/1 | 103/2 | 103/3 | 148/3 | 148/4 | ჯამი (რაოდენობა) | ჯამი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თებერვალი | 10 | 2 | 0 | 0 | 0 | **12** | **114** |
| მარტი | 40 | 2 | 0 | 0 | 0 | **42** | **333** |
| აპრილი | 92 | 0 | 0 | 0 | 0 | **92** | **756** |
| მაისი | 57 | 0 | 0 | 0 | 0 | **57** | **456** |
| ივნისი | 140 | 0 | 1 | 0 | 0 | **141** | **1170** |
| ივლისი | 93 | 1 | 0 | 0 | 0 | **94** | **764** |
| აგვისტო | 59 | 0 | 1 | 0 | 0 | **60** | **516** |
| სექტემბერი | 40 | 0 | 2 | 10 | 1 | **53** | **670** |
| ოქტომბერი | 34 | 0 | 0 | 16 | 0 | **50** | **592** |
| ნოემბერი | 36 | 0 | 0 | 15 | 1 | **52** | **638** |
| დეკემბერი | 73 | 0 | 0 | 32 | 1 | **106** | **1298** |
| ჯამი | **674** | **5** | **4** | **73** | **3** | **759** | **7307** |

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო

2016 წ. 31 დეკემბერი